

ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან ევროკავშირის
მიერთების სამართლებრივი ასპექტები და მისი გავლენა საქართველოზე

სალომე გურგენიძე

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
სამართლის ფაკულტეტზე საჯარო სამართლისა და პოლიტიკის მაგისტრის
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

საჯარო სამართალი და პოლიტიკა

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ბექა ძამაშვილი, სამართლის დოქტორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2019

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

სალომე გურგენიძე

28.06.2019

აბსტრაქტი

ლისაბონის ხელშეკრულების ძალით, ადამიანის უფლებათა ევროპულ კონვენციასთან ევროკავშირის შეერთება ვალდებულებას წარმოადგენს, რომლის დარღვევის შემთხვევაშიც ევროკავშირის ორგანოებს დაეკისრებათ კიდევ შესაბამისი პასუხისმგებლობა. ამ პროცესში წარმოშობილ დილემებსა და კითხვის ნიშნებს ნაშრომი მიერთების საჭიროების, მიერთების შესახებ შეთანხმების პროექტის, მართლმსაჯულების ევროპული სასამართლოს დასკვნა 2/13-ის და ევროკავშირის ავტონომიურობის პრინციპის შუქზე განიხილავს. დასკვნა 2/13-ის ჩიხში შემყვან მოთხოვნებს ნაშრომი უპირისპირებს მსჯელობას, რომ ევროკავშირის ავტონომიურობის პრინციპმა არ უნდა გამოიწვიოს ადამიანის უფლებების რისკის ქვეშ დაყენება, არამედ პირიქით, ევროკავშირის მიერ ადამიანის უფლებების დაცვაზე გარე კონტროლის შემოღებით, გაზარდოს უფლებების დაცვის ხარისხი.

თვალსაჩინო გამოწვევების ანალიზის გარდა, წინამდებარე ნაშრომის მნიშვნელობასა თუ ნოვაციას განაპირობებს ევროკავშირის ევროპულ კონვენციასთან მიერთების განხილვა საქართველოს პრიზმიდან. ამისათვის ნაშრომი ახდენს ქართული საკანონმდებლო სივრცის ანალიზს და აიდენტიფიცირებს იმ გზებს, რითაც ევროკავშირის სამართალი საქართველოს მოქალაქეებს იქცევს იურისდიქციის ქვეშ. ასევე, გამოკვეთს იმ პერსპექტივებს, რასაც მიერთება საქართველოს მოქალაქეებს სთავაზობს. კერძოდ, საქართველოსთვის ამოქმედებული დირექტივის/რეგულაციის მიერ, ევროპული კონვენციით გათვალისწინებული უფლების შეზღუდვის შემთხვევაში, გაანალიზებულია საქართველოს მოქალაქის გზა სტრასბურგის სასამართლომდე, მათ შორის, თანამოპასუხის ინსტიტუტის ჩაშლითა და ევროკავშირის პასუხისმგებლობის საკითხის გამოკვეთით. ამგვარი მიმართების პლატფორმად ნაშრომი განიხილავს ასოცირების შესახებ შეთანხმებას, როგორც საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობის საშუალებას, ხოლო განხორციელების მექანიზმად - ასოცირების საბჭოს, როგორც ორივე მხარის წარმომადგენლებით დაკომპლექტებულ ორგანოს.

შედეგად, ნაშრომი მცდელობაა მოახდინოს მიერთების გავლენის ანალიზი საქართველოს კანონმდებლობასა და მის მოქალაქეებზე, რაც თავის მხრივ საფუძველს ქმნის საკითხის სამომავლო კვლევისათვის.

Abstract

The accession of the European Union to the European Convention on Human Rights is no more just a possibility but the legal obligation, that in case of the misuse will cause the liability of the EU bodies. The process itself rises a number of fundamental questions and dilemmas. Those challenges will be examined in regard the necessity of such accession, draft agreement on accession, decision 2/13 of the ECJ and autonomy of EU. The requirements prescribed by the controversial decision 2/13 is mainly opposed by the highlight that the protection of human rights shall not be overshadowed by the autonomy of EU. On contrary, an external control on EU acts by the specialised human rights court (ECtHR) shall extend the level of human rights protection.

Beside the visible challenges, the importance and the novation of the text is to discuss implications of such accession on Georgia. Thus, the legal framework of the State is examined, as well the contexts where the EU law has the jurisdiction over the Georgian citizens. Moreover, the perspectives for the Georgian population are also scrutinized; particularly, in regard the case when the directive/regulation, within the framework of the Association Agreement between Georgian and EU, directly or indirectly infringes fundamental rights and therefore gives an access to the ECtHR against the EU itself. The text concludes that the platform for such correlation is the Association Agreement and the instrument for its implementation – Association Council. In the process co-respondents mechanism and the liability of EU is also challenged and found the need of further regulations.

Thus, the thesis aims to be the first discussing implication of accession on Georgian legislation and on its citizens that itself opens the door for the upcoming researches.